
შპს ბი.ჯი

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის
ფინანსური ანგარიშგება

1. ზოგადი იონფორმაცია

შპს „ბი.ჯი.“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 17/03/2020 წელს ს/ნ 412752114. კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია საქართველო, ქ. ქუთაისი, ნ. დუმბაძის ქ., N45 .

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები არიან და მათი წილები საწესდებო კაპიტალში შეადგენს:

1. ნათია შათირიშვილი	კ/ნ 53001013907	100%
----------------------	-----------------	------

საზოგადოება სხვა საწარმოების საწესდებო კაპიტალში წილებს არ ფლობს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, უპირატესად საკვები პროდუქტებით, სასმელებით ან თამბაქოს ნაწარმით, საბითუმო ვაჭრობა .

საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღია 2024 წლის 31 დეკემბერი. ფინანსური ანგარიშგებით მოცული პერიოდი არის 2024 წელი.

2. ზოგადი დებულებები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების მიზანია, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ ისეთი უტყუარი და სამართლიანი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც სასარგებლო იქნება დაინტერესებული პირებისთვის ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე. შეფასების დროს ამ პრინციპებიდან გადახვევის შემთხვევაში, გაკეთდება განმარტებები ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებით შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება გულისხმობს იმას, რომ საზოგადოების ხელმძღვანელობა აკეთებს გარკვეულ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლების გავლენას ახდენენ აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენაზე.

ფინანსური ანგარიშგების ფორმირება, ასევე ახსნა-განმარტებით შენიშვნები აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის დაფიქსირება ხდება ბალანსის შედგენის თარიღისთვის. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებებისგან. აქედან გამომდინარე, პერიოდულად ხდება ამ შეფასებების განხილვა და საჭიროებისამებრ განახლება, კორექტირება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებში, როდესაც ამის შესახებ გახდება ცნობილი.

3. წარდგენის ვალუტა

საზოგადოება აღრიცხავს აწარმოებს ქართულ ეროვნულ ვალუტაში-ლარში. ეკონომიკური შინაარსის და საქმიანობის შესაბამისად, ქართული ვალუტა აღიარებულია როგორც შეფასების ვალუტა.

ქვემოთ არის წარმოდგენილი საზოგადოების 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საშედეგო ცხრილები.

კერძოდ:

ფინანსური მდგომარეობის ცხრილი; N1

საქმიანობის შედეგების ცხრილი; N2

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	121682	54268	21096
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	155256	353814	3702
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	4987	3311	3506
მარაგები	425180	329736	302096
სხვა არამატერიალური აქტივები	1347	1586	1825
ძირითადი საშუალებები	77749	82165	81581
სულ აქტივები	786201	824880	413806
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	5610	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	190959	388544	112033
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	13808	12299	11223
საგადასახადო ვალდებულებები	14363	9510	3333
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	138569	189628	106824
სხვა ვალდებულებები	2625	2469	2659
სულ ვალდებულებები	365934	602450	236072
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	400	400	400
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	419867	222030	177334
სულ საკუთარი კაპიტალი	420267	222430	177734
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	786201	824880	413806

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	2024	2023
ნეტო ამონაგები	7807556	7234234
საქონლის გაყიდვიდან	7549180	7223145
მომსახურების გაწევიდან	258376	11089
გაყიდვების თვითღირებულება	-7188779	-6871960
საერთო მოგება	618777	362274
სხვა საოპერაციო შემოსავალი	5836	3231
დასაქმებულთა ანაზღაურება	-190902	-179527
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-11875	-13168
საპროცენტო ხარჯი	-22405	0
იჯარის ხარჯი	-62487	0
სულ საოპერაციო ხარჯები	-281833	-189464
საოპერაციო მოგება	336944	172810
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-64866	-92467
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	272078	80343
მოგების გადასახადის ხარჯი	-11517	-5387
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	272078	74956
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	272078	74956
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	222430	177734
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-65263	-30526
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	2539	266
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	420267	222430

განმარტებითი შენიშვნები:

4. სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველი

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველია დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო.

საზოგადოების ხელმძღვანელობას აქვს შემუშავებული და იყენებს ისეთ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომლის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია სამართლიანად ასახავს საწარმოს საქმიანობის შინაარსს, ეკონომიკურ მოვლენებს.

5. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ ვალუტაში .

ანგარიშწორება მხარეთა შორის შეიძლება განხორციელდეს უნაღდოდ, რაც გულისხმობს გადამხდელის ანგარიშიდან ფულის გადარიცხვას მიმღების ანგარიშზე. საწარმო მომსახურე ბანკიდან ღებულობს „ამონაწერს ანგარიშსწორების ანგარიშიდან“. იგი ასახავს ნაშთს ამონაწერის პერიოდის დასაწყისისთვის, ბანკის მიერ განხორციელებულ ჩამოწერებს, ანუ სადებეტო ბრუნვას; ბანკის მიერ განხორციელებულ ჩარიცხვებს და შენატანებს, ანუ საკრედიტო ბრუნვასა და საბოლოო ნაშთს პერიოდის დასასრულისთვის.

საზოგადოებაში ფულადი სახსრების აკუმულირების ძირითადი წყაროა საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები.

	2024	2023
ნაღდი ფული სალაროში	118482,72	41722,22
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3199,65	12545,95
სულ ჯამი	121682,37	54268,17

6. აქტივები და ვალდებულებები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

	2024	2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	155255,60	353814,80

	2024	2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	190958,79	388544,81

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფბრუნვად მარაგებს.

8. ვალდებულებები თანამშრომლის მიმართ

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა შესაბამისი მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

9. მოგების გადასახადი

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება

კომპანიის მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როდესაც ძველი მოდელის კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 01 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც არაა დაკავშირებული მოგების მიღებასთან (საჩუქარი, გადასახადები, რომელიც დაკავშირებული არაა ეკონომიკური საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

10. დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) ავანსის მიღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის მიწოდება კლიენტებისათვის. გადასახდელი დღგ მცირდება ჩასათვლელი დღგ-ის თანხით, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას.

11. საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა

საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა მნიშვნელოვნად ინტერპრეტაციებზეა დამოკიდებული და შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს საგადასახადო ორგანოების მხრიდან გეგმიური თუ კამერალური შემოწმების დროს. საგადასახადო შემოწმებას შეიძლება დაექვემდებაროს საგადასახადო შემოწმების წლამდე წინა სამი კალენდარული წლის პერიოდები. კომპანია დარწმუნებულია, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება საგადასახადო კანონმდებლობის მისეული გაგების საფუძველზე.

12. კომპანიის კაპიტალის აღრიცხვა

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და აღიარდა დამფუძნებლის შენატანის რეალური ღირებულებით და შეადგენს 400 ლარს.

სხვა რეზერვები და დაფინანსება- კომპანიას არ გააჩნია

13. დივიდენდი

დივიდენდები საწარმოს შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და პარტნიორთა გადაწყვეტილებებს. დივიდენდები აღიარდება ვალდებულებების სახით იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც ის გამოცხადდა. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების შენიშვნებში საანგარიშო პერიოდში.

კომპანიამ დივიდენდი გასცა დამფუძნებლებზე 65263,16 ლარი.

14. შემოსავალი

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება დაუყოვნებლივ მის მიღებაზე გაწეული ხარჯების პროპორციულად.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს.

	2024	2023
საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	7807556	7234234,87
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	5836,11	3231
სულ ჯამი	7813392,11	7237465,87

15. ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის მომენტისათვის.

წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საზოგადოების საქმიანობის შედეგი. შედეგებში აისახა მთლიანი და მათ შორის საოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობები.

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	190902.18	179527.10
საპენსიო ხარჯი	3814.07	3590.55
საიჯარო ქირა	50487.04	13229.48
დასუფთავების და საკანცლარიო ხარჯი	2570.92	2546.39
დაცვის ხარჯი	915.24	915.24
კომუნალური ხარჯები	18178.06	15542.20
საღარო აპარატის მომსახურების ხარჯი	279.64	203.35
ინტერნეტის მომსახურების ხარჯი	902.19	600.00
საოფისე ინვენტარი	615.00	845.34
პროგრამული მომსახურების ხარჯი	548.68	441.43
შესაფუთი მასალების ხარჯი	6163.54	5768.55
მიმდინარე სამეურნეო ხარჯები	6531.04	3860.87
სხვა საერთო ხარჯი	4737.56	3600.76
ცვეთა და ამორტიზაცია	11875.47	13168.11
ქონების გადასახადის ხარჯი	799.57	819.10
ავტომობილის იჯარის ხარჯი	12000.00	10125.00
საწვავის ხარჯები	9023.74	
მანქანის ნაწილების ხარჯები	4100.80	15766.06
მცირე ხარჯები	884.24	592.17

16. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი მოიცავს საქართველოს ბანკიდან მიღებულ სესხზე გადასახდელ პროცენტს.

	2024	2023
საპროცენტო ხარჯი	22405	12854,87

17. ურთიერთ დაკავშირებული მხარეები

ბალანსი და ტრანზაქციები ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთიერთდაკავშირებულნი არიან, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეული დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

ბუღალტერი:



/ შ.შუბლაძე /

დირექტორი:



ნ. შათირიშვილი/